— აი მეც მზათა ვარ, თითქო პასუხად მოისმა ბებია-ჩემის
სიტყვები და ისიც ურემს მოუახლოებდა. მალე ბებია ურმის თავში
ბალიშებზედ გამოჭიმული იჯდა და ჩეენც გვერდში უსხედით. ისა-
მანა ურმის ბოლოზედ იჯდა და შუა ურემი სავსე იყო ბოხებით
და სხევა-და-სხევა საგზავო სანოვაგით. აქეე ნებიერად წამოგორებული

*) ლიახვი ქ. გორთან თვალ-გადუწვდენელ მინდოფზედ იშლება და
გორთვების მთასთან უკრთდება მტკვარს.

იყო კარგა მოზღვილი ტიკჭორა და დიდი შაქრის თავი; ერთი იმის-თვის, რომ მეურმეებს სული არ წასძლეოდათ და კახურისთვის პირი არ მოესხნათ და მეორე არ დასველებულიყო როგორმე გზაში.

— ღმერთო, ღვთის მშობელო! ხელი გააცყრო ბებია-ჩემმა— კეთილი მოგზაურობა მოგვეც და დაგვიხსენ ყოველის განსაცდელი-საგან! მერე ერთი თვალი კიდევ გადავლო სუსველაფერს და უბძა-ნა მეურმეს დაძრულიყო. უკან დაბარგული ურმები გამოგვყვნენ.

უბნის გოგო-ბიჭები ჟივილ-ხივილით აედევნენ ჩვენ ურმებს და ცრობისმოყვარეობით შემოგვყურებდნენ ჩარლახ-ქეშ, შემო-გვნატროდნენ სოფლად გასვლას.

— წადით, წადით იქით! საქონელს ნუ ებლატუნებით ფეხებში, უყიიროდა ბალლებს ბებია, ჩვენ-კი სიცილ ხარხარით ვემშეიდობე-ბოდით მეზობლებს.

— მოგვეცალეთ, მოგვეცალეთ! დასჭირებული გიგლა მეურმემ და შოლტი გაუტლაშუნა ბალლებს, მერე სახრე გადაჰქრა თავის ლომა კამბეჩებს და თითქმის სიჩბილით გაგვიყვნა ქალაქ გარედ.

— ეს რა ხმაურობა? რა ამბავია? შეჰყვირა ბებია ჩემმა და პირ-ჯვარი გადაიწერა.

— ღმერთო ღაგვიფარე! შიშით დაუმატა ჩვენმა მეურმე გიგ-ლამ. უთუოთ ლიახვი მოგარდნილა! .

— ლიახვი ადიდებულა და სულ თან მოაქეს არე-მარე, იმის-თანა ზეირთებს მოაქანებს, გეგონება შავი ზღვა ალელებულა და ჭვე-ყანას წალეკებს უპირებსო, სთქვა მეორე მეურმემ, რომელიც კო-ფოზედ შესდგა და მიდამო გადაათვალიერა.

— ლიახვი მოგარდნილა?.. მერე რაღა გვეშველება? როგორ-ლა უნდა გაეიდეთ? შიშით ამოიკვნესა ბებიამ... უკან უნდა გაებრუნ-დეთ... ორი სამი დღის შემდეგ წყალი ჩამოგარდება და მაშინ...

— უკან დაებრუნდეთ?.. ერთი ორი დღე შევიცადოთ?.. გაის-მა მეურმეების საყვედური. რას გვიპრძანებ, როგორ შეიძლება. ახ-ლა თითო დღე თითო მიღიონათ მიგვაჩინა, ათასი საქმე გვადგია

კარზედ... მაგას ნუ გვიზამთ, ნუ მოგვაცდენთ, აგრემც ლმერთი გა-
დლეგრძელებთ!

— მაშ ზღვას მიყცეთ თაეი? შეილები წყალში ჩავყარო! შე-
ჰყვირა ბებია-ჩემშა.

— აბა ახლო მიეიდეთ, ენახოთ. ადამიანები არა გართ, რისა
გვეშინია. ენახოთ, თუ არაეინ გადის, ჩეენც ნუ გადავეშვებით უგ-
ზო-უკლოთ! დარბაისლად დაუმატა ჩეენმა მოურავმა ნინიამ და თა-
ვის იაბო გაკუნტრუშა მდინარისკენ. უჩმებიც თან გაჰყვნენ.

წყლის ხმაურობა და თქლაშა თქლუში თან-და-თან ძრიელდე-
ბოდა და გულს გეიგსებდა შიშით. ჩეენ ზედ ვეკუროდით ბებიას და
თან ცნობისმოყენერობით ვუყურებდით თვალ-გაღუწელენელ წყლის
კიდეებს.

დიდებული სანახაეი იყო ლიახვის არე-მარე. ატბორებულ ზღვას
განზედ გაედგა თავისი სამფლობელო და შუილ-ხუილით მოაქანებ-
და თავის ლერია ზეირთებს. ლიდრონი, მწვანით მოსილი ხეები, ლო-
ბეები, სახლის სახურავები საოცარს სისწრაფით მისცურავდნენ მის
კიდეებზედ და თვალის დახამხამებამდე ინთქებოდნენ მტკურის შე-
სართაეში.

მდინარის გაღმა გამოაღმა რამდენიმე ურემი იდგა, აქა-იქ ცხე-
ნოსნებიც დატორტმანობდნენ. სუყელანი მოჯადოვებულებივით შე-
ჰყურებდნენ ბუნების მძლავრობას და სიღიადეს. ვერვინ ვერ ბედავ-
და აფორიაქებულ წყალში შესელას და უკან გამობრუნებასაც თით-
ქო არაეინ აპირებდა.

— რას იტყვით, ასე უნდა ვიდგეთ? ხომ ხედავთ ლიახვი ჯერ
არ აპირებს დამშეიდებას! თქვა ბებია-ჩეენმა.

— აბა, ბიჭებო, რას ფიქრობთ? გავბედოთ შესელა, თუ გამო-
ვბრუნდეთ? შეეკითხა ნინია მოურავი მეურმეებს.

— მცურავები არიან აქ, ქალბატონო, ტინიხიდელი ბიჭები,
წყალთან შეჩერეული საქონელი ჰყავთ, ასე ამბობენ სულ ხელით გა-
ვიტანთ ჩარდახიან ურემს, წყალს არ მიეაკარებთო... გაუბედავათ
სთქვა ერთმა მეურმეთაგანმა.

— ტინიხიდელი მცურავები?.. აბა, აბა აქ მომგვარეთ, ერთი ენახოთ რას იტყვიან! ტინიხიდელის ცურვა ქვეყანასა აქვს შეტყობილი...

— კისრულობთ, შეიღო, ჩვენს უენებლად გაყვანას, შეეკითხა ბებია სამ ლომიერი წამოსადეგ ვაჟკაცს, რომელთა დაკარწახებული ფეხები და კლავები მოწმობდნენ მათ ძლიერებას — გამოცდილები ხართ?

— გამოცდილები ვართ?! ჰაი, ჰაი გამოცდილები ვართ. ჭაპი ლიახეს პირზედ გვაქვს მოჭრილი და გამოცდილები არ ვიქნებით! მამა მცურავი გვყოლია და პაპა. ლიახეს ისე ჩავამტკრევთ კბილებს, რომ ხმასაც ვერ გასცემს თქვენ ურემს.

იმდენი გამხდედაობა და სიმტკიცე რყო ამ ვაჟკაცების სიტყვებში, რომ ბებია-ჩემი დასთანხმდა და წყალში შესასელელად მზადება დაიწყო: შაქრის თავი ჩარდახის გასაყარზედ ჩამოკიდა, ტანისამოსის ბოხები მუთაქებზედ შეაწყო ჩვენ კალთაში ჩაგვისჩა, ფერმიხდილი იარამანა ახლო მოისეა და დაიწყო ტუტუნი: „გორიჯვარო პატიოსანო! წმინდა გორივი ლახერით მოსილო, ღვთისმშობელო ქალწულო, ქრისტე მაცხოვარო, თქვენ გვიწინამძღვრეთ, თქვენ მფარველობის ქვეშ შეითარეთ ჩემი საწყალი თავი და ჩემი პატარა ობლები!

მეურმეებმა უჩიმები დაათვალიერეს, გაამაგრეს, ბარგს თოკები გადუჭირეს, საქონელს აპეურები მაგრა დაუნასკვეს, პირჯვარი გადიწერეს, სასოებით შეხედეს გაბრწყინვალებულ ცას და შევეევით ტინიხიდელ მცურავების ურემს, რომელიც ფონის მაჩვენებლად მიგვიძლოდა წინ.

ჩეენი ურემი კარგა ხანს ლრაჭა-ლრუჭით მიღიოდა, მაგრა უდგა ატბორებულ და გაგიფებულ ლიახეს, მაგრამ მალე ატივტივება დაიწყო, საქონელს და ურმის თვლებს ნიადაგი გამოეცალათ და ცურვით იბრძოდა, აპობდა ტყეიისავით მძლავრად მონადენ ზეირ-თებს. მეურმე თვალება-ჭრელებული კანკალებდა, ბებია-ჩემია ლოც-

ეს მაგივრად, რაღაც გაუგებარ სიტყვებს ლულლულებდა და თან მაგრა გვიკრავდა გულში მე და ჩემ ძმას.— „შეილებო, ძეირფასო შეილებო, რაზედ დაგლუპეთ, წყალში რად ჩაგვარეთ ჩემის ხელით! რა მოვიქმედე მე თვალ დამდგარმა! მეურმეების ხათრით თქვენ რად გაგწირეთ... ლეთაბა უცვალებელო, გადაგვარჩინე ამ განსაკულელს და სამღეთოს გადაგიხდი, მუხლ-მოდრეკილი მოვალ შენ კარჩედ!“

„ლმერთო, ლმერთო! ვიღუპებით, ვალუპებით, გვიშველეთ! „მო-ისმოდა აქედ-იქიდგან მეურმეების ლრიალი, ყველამ გონება დაჲკარგა, მხოლოდ ტინიხიდელი ბიჭები იყვნენ ჩუმათ და თვალს არ აშორებდნენ ჩეენ ურემს. უცებ ერთი იმათაგანი გადმოხტა წყალში, მას მოჲყეა მეორეც და თვალის-დახამხამებამ-ჯე ორივე დაეკონწიალნენ ჩეენი ურმის იმ მხარეს, რომელიც ის იყო უნდა აყირავებულიყო და შეუტიეს თაერეტ-დასმულ მეურმეს: „წყალს ნუ უურებ უურყუტო, შოლტი, შოლტი საყევარს, შოლტი საყევარს. ნუ გე-შინიანთ, ნუ გეშინიანთ, ლმერთი მოწყალეა, მალე გაეალთ, ნუ გე-შინიანთ!“

ურემი წყლით აიესო, წელამდინ წყალში ვისხედით, ბოხჩები ტივტივებდნენ, შაქრის თაეთ შუა წელამდინ ჩამოდნა, მხოლოდ ტიკ-ჭორა იწეა განაბული, შეუნძრებულად.

იასამანას გულსშემოეყარა, ბებია სასოწარკვეთილებამ შეიპყრო და თითქო აუცილებელ მხედრს თაეთ მისცა... მხოლოდ ჩეენ, ბაე-შეები ვაჭუეტილით თვალებს და დაქინებით მოველოდით ნაპირის და-ნახეას.

წამით სუყველაფერი მიჩუმდა, თითქო ლიახეის შფოთვაც მი-სწყდა, ყველას შიშის ზარმა თვალთ-მხედველობა დაუბნელა...“

უცებ ურმის თვლებმა ისევ ქვიშაზედ ლრიჭინი დაიწყეს. მცუ-რაებმა ურემს ხელი მოაშორეს და სიხარულით ჩარდახ-ქვეშ შე-მოგეძახეს: „მოგვილოცავს, მოგვილოცავს! ახლა-კი საშშეიდობოს გავედით!“

ყველა გონს მოვედით, ყველას გულიდგან აღტაცების კივილი

ამოხდა. ბებია მცურნეალედ გადაგვეხეია და ღმერთს მაღლობა მი-
უძღვნა.

რამდენიმე წამს შემდეგ ურმები მშენიერ ჭალაში გაჩერდნენ,
საქონელი უხვათ მოფენილი ბალახზედ გაუშვეს, ნარიყალით ძრიე-
ლი ცეცხლი გააჩინეს და სისეელისაგან აკანკალებული სხეული მის
სიცხვლეზედ მალე გავითბეთ და ვითომ აქ არაფერრაო ისე გავი-
ქეცით მინდორზედ და ყვავილების კრეფას შევუდექით.

„კიდევა გნახავ, ლიახვო, გეხვეოდნენ კოლოები
შიგ ბიჭები ბანაობდნენ და ტიტველი გოგოები!“


მოგვესმა მაღალი, მხიარული „სუფრული“ და ურმებისკენ გა-
ვექანენით. იქ ცეცხლს გარშემო მხიარულად შემომსხდარიყვნენ მე-
ურმები, ტინიხილელი ჩვენი მხსნელი მცურავები და კანურით შე-
ზრხოშებულნი ლიახვეს ჭასხარად იგდებდნენ.

ბებია, ლიახვში გაციებულის ლეინით, უხვად გაუმასპინძლდა
გლეხებს. სიმღერას თამაში მოჰყენა და თუმცა მზე ძალზედ გადაწვე-
რილი იყო, როდესაც ჩვენი ურმები კვლავ გზას გაუდგნენ, მეურ-
მები მაინც ბედს არ ემდუროდნენ დაგვიანებისათვის.

ასეა ქართველი კაცის ადათი, ის გულს ადვილად არაფრით გა-
იტეხს და ჭირს ყოველთვის ლხინით მოიხდის.

ეგ. გაბაშვილისა.





ქართ-ბატონი თემურელი პირკელი.

როგორც დესპინა მე- XVII საუკუნეში

I
ენიდმეტე საუკუნეში ყაენების მფლობელობამ შეტად შე-
ავიწროა კახეთი. კახთ-ბატონნი ალექსანდრე მეორე და
თეიმურაზ პირველი არ გამაჰმადიანდნენ, მუდამ ეურჩებოდნენ ყა-
ნის უფლებას და, სამეფო რომ სპარსთა მტარეალობისაგან ეხსნათ,

ეძებდნენ რუსეთის შეელას. ამის გამო გახშირდა კახთ-ბატონებსა და რუსთ ხელმწიფებს შორის მოციქულობა და მიწერ-მოწერა. ალექსანდრესი და თეიმურაზის მეფობის დროს, სამოც-და-ხუთის წლის განმავლობაში (1586—1651 წ.) თერთმეტჯერ გაიგზავნა ქართველი დესპანი მოსკოვს და ამდენჯერევ ეწვია კახეთის რუსის დესპანი. ბოლოს თვით თეიმურაზ მეფე ეახლა რუსეთის მეფეს ალექსეი მიხაილოვის და ხელზე კოცნით თავი შეავედრა.

უმთავრესი საგანი ამდენ მოციქულობისა ერთი და იგივე იყო: გვიხსენით ურჯულოებისაგან. კახთ-ბატონები რუსთ ხელმწიფებს ჯარის გამოგზავნას ეველრებოლოდნენ, სოხოვდნენ ფულსაც, მოძღვრებს და ხელოსნებს დავიწყებულ სჯულისა და აოხრებულ ეკლესიების აღსაღენად. სამაგიეროდ ყმობას უფიცებლენენ და ძღვენს უგზავნი- დნენ.

შორს იყო მაშინდელი რუსეთი,—მოსკოვიდან კახეთამდე თვეობითა და წლობით მგზავრობლენენ,—და ჯარის გამოგზავნა შეტად ძვირად დაუჯდებოდა რუსთ ხელმწიფეს. ამიტომაც მუდამ გასცრუებიათ კახ-ბატონებს რუსის ჯარის იმედი.

რუსეთის მეფეები თავიანთ ჯარს თუ არ იმეტებდნენ, შეელის ქადილს კახთ-ბატონებს მაინც არ აკლებდნენ. ნუგეშად-კი უგზავნი- დნენ ოქროსა, სიასამურს, ხატებს, ხელოსნებს, ბაზირებს, მეთო- ფეებს.—სამაგიეროდ ითხოვდნენ ყმობისა და ერთგულობის ფიცის შენახვას და, სანამ საქართველომდე ხელი მიუწვდებოდათ, თავიანთ ტიტულს ერთი წოდებაც მიუმატეს: Государь ивереския земли и гру- zinsekiхъ царей.

ვერაფერი სიკეთე დააყარა კახეთს ამ ფუჭმა მფარველობამ. რუ- სების დესპანობას ყაენი მუდამ ეჭვის თვალით უყურებდა; მეფის ფი- ცი, რუსთ ხელმწიფისათვის მიცემული, ყაენს თავის ყმის ღალატად მიაჩნდა და მისის ჯავრის ამოსაყრელად მრავალ გზის იკლებდა და ანადგურებდა კახეთს. ასე გადიმტერეს ყაენი ალექსანდრე და თეი-



მურაზ მეფებმა, თეითონაც თავი დაიღუპეს და კახეთიც წაახლინეს
მოსკოვის საჩუქრების გულისათვის.

ამ მეფების გამოცდილება ეერც მათმა მემკეიღრეებმა გამო-
იყენეს და რუსეთის ერთგულობასა და იმედს ისე გადასდეს თავი,
რომ ბოლოს თავიანთი მეფობაც მოსპეს.

ჩეენთვისაც გამოუსადეგარი იქნებოდა ეს დაგვიანებული ისტო-
რიული გამოცდილება, რუსის დესპანებს რომ თავიანთ თანამდებო-
ბის ასრულებაზე და უკეთესი მოხსენებანი არ დაწერათ მოსკოვის მე-
ფებისათვის მისართმევად. რუსის დესპანი, როგორც კაი ბეჯითი და
ერთგული მოხელე, წვლილად, თითქმის დღითი-დღე უამბობდა თა-
ვის პატრიონს ნახულსა და გაგონილსა და ამგვარად შეგვინახა ძეირ-
ფასნი ცნობანი მაშინდელის კახეთის ცხოვრებისა, რომელიც ჩეენს
მემატიანებს „ქართლის ცხოვრებაში“ არ შეუტანიათ. ასეთია სხვა-
თა შორის კრიაზ ფეოდორ ვოლკონსკის დესპანობის ამბავი, რომე-
ლიც მინდა ჩემს მკითხველს მოვახსნო.

მაგრამ, სანამ ამ ამბავს დავიწყებდე, საჭიროა ორიოდე სიტყ-
ვით გაეიხსენოთ რა ყოფაში იყო იმ დროს კახეთი.

II

ძნელია კაცმა ორიოდე სიტყვით გამოსახოს კახეთის მაშინდე-
ლი მდგომარეობა. თეიმურაზის ხანგრძლივ მეფობის დროს (1605 —
1664 წ.) კახეთის ცხოვრება ნამდეილი წაშება იყო. სხვა მრავალი
ჭირი რომ არ ჩამოვთვალოთ, მარტო შაპ-აპასის ორი შემოსევა
(1615—1617 წ.) კმაროდა ქვეყნის ძირიანად ამოსაგდებლად. ეს
შემოსევა კახეთს ღვთის რისხეასავით დაატყდა. ცახე არ დარჩა და-
უნგრეველი, საყდარი არ დარჩა გაუძარცველი. ყაენმა აიკლო ქვე-
ყანა და ოთხმოცი ათასი სული ქართველი სპარსეთს გადაასახლა. ვევ-
ბა გავერანებული ადგილები დარჩა უშენი და ტყეებით დაიბურა.
კახეთი სისხლისაგან დაიცალა და გაველურდა.

რაც გაწყვეტასა და სპარსეთში გადასახლებას ხალხი გადარჩა, ის შინაურ მტრობისა და შუღლისაგან იქნანებოდა. ლყევები ხომ ისე გათამაღნენ, რომ დასუსტებულ კახეთს დარბევით არ ასვენებდნენ, და ბოლოს გაღმა მხარის ნაწილი (ახლანდელი ზაქათლის მაზრა) ჩა-მოაცალეს.

თითონ თეიმურაზ მეფეს საკვირველი ბედი ჰქოდა. არა მეონია ბაგრატოვანთ სამეფო გვარში ეისმე უარესი გაჭირება და უბედუ-რება სწევოდეს, რაც თეიმურაზ მეფეს დაატყდა თავის დღეში, რო-გორც შინაურს ცხოვრებას, ისე მეფობაშიაც.

ორმოცულადაც ახრამეტი წელიწადი ატარებდა მეფის სახელს თეი-მურაზ, მაგრამ მეფობით კი ძლიერ ოც-და-თორმეტი წელი იმეფა, დანარჩენი ოც-და-ხუთი წელიწადი ექსორიაში გაატარა. ოთხჯერ ტახტიდან ჩამოგდებული და საშობბლოდან განდევნილი, ხან იმე-რეთს იმალებოდა, ხან მთებში, ხან სტამბოლს ეძებდა შეელას, ხან მოსკოვს. თავის სამეფოშიაც ამ მაწანწალა მეფეს ჭერი არა ჰქონდა, თავი შეეფარებინა. აოხრებულს კახეთში აქა-იქ დაწოწიალებდა, ფან-ჩატურიდან ქოხში გადადიდა და ალაჩუხიდან კარავში.

ცოლ-შეილის მოყვარეს მეფეს ახალგაზღობაშივე მოუკვდა საყ-ვარელი ცოლი და მერე ღრმა სიბერიეში მეორედ დაქვრიედა. ყაენ-მა დასტურა მშეელად ორი მცირეწლოვანი შეილი ლევან და ალექ-სანდრე და დედა ქეთევან დედოფალი; მერე ერთი შეილი მოუკლა, მეორე სამუდამოდ დაუსახჩჩა და დედა, ათის წლის პატიმრობის შემდეგ, აწამა. ცოლის ძმა, ქართლის მეფე ლუარსაბ, რომელიც მი-ემხრო თავის სიძეს სპარსთა წინააღმდეგ საომრად, ისიც შეიპყრო ყაენმა ცბიერებით და მოჰკლა. ნორჩი ქალი თინათინ ყაენმა წაართ-ვა და ცოლად შეირთო. ერთად-ერთი შეილი და მემკეიღრე, ჭაბუკი და გულოვანი, მამის იმედი დათუნა ბატონიშეილი, ოშში მოუკლეს. ესეც არ აქმარა მწარე ბედმა: საში შეილი-შეილიც, სიყრმეში და-ხოცილი, უნდა მოეტირნა მოხუცებულს მეფეს.

სპარსეთში გაზრდილი, სპარსულის ენისა და ლიტერატურის

მცოდნე, სპარსულ პოემების მთარგმნელი, თეიმურაზ მეფე მტკიცე ქრისტეს შმოსავი იყო და თავდადებული მამულის შეილი. თავისი სიცოცხლე სამშობლოს განთავისუფლებას შეაღია და ქრისტეს სჯულისთვის ყველა ჭირი აიტანა.

მარტო ებრძოდა უძლიერესსა და უცბიერესს ყაენს დიდს შაჰაბასს და დამარცხდა, შემოიერთა ქართლი და მაინც დამარცხდა. ეძებდა შველას ხონთქრისას და რუსთ ხელმწიფისას, რომ მოეხსნა სპარსთა ულელი და ორჯელვე მოსტყუვდა. ბოლოს, დაუძლურებული და ქედ-დაღრეკილი ეახლა იმავე ყაენს და შენდობა სთხოვა.—„ბედ ნიერმა ხელმწიფებ“ ასუქა შენდობა, მაგრამ მაინც შეურაცხვყო და-მარცხებული მეფე და გაგზავნა საცხოვრებლად ასტრაბადს. აქ განისვენა მეფემ, ბერად უემდგარმა, შფოთიერ ცხოვრებისაგან.

III

1628 წ. მოკედა დიდი შაჰაბასი და კახეთშა სული მოიბრუნა. სპარსეთში დიდი მტარებალის სიკედილის შემდეგ აუცილებელია არეულობა. მაშინ ყველა დაჩაგრული და დაპყრობილი ხალხი განზე იწევს, ჰლამის თავი ულელს დააღწიოს, და გუშინდელი დიდებული და ძლიერი სახელმწიფო დღეს ირლვევა. ახლად გამეფებულმა ყაენმა ჯერ მრავალ მეტოქესა და შინაურს მტერს უნდა სძლიოს და მერე, თუ ძალა და ნიჭი შესწევს, ხელ-ახლა დაიბრუნოს ხმლით დაკარგული ქვეყნები და კვლავ შეაკორწიოს დიდი სახელმწიფო. სანამ-კი ყაენის ტახტი ირყევა და მისი ხელმწიფება სუსტია.

ასეთივე დროებითი სისუსტე სპარსეთისა მოჰკვდა შაჰაბასის სიკედილსა და შაჰსეფის გამეფებას. თეიმურაზ მეფემ იხელთა ეს დრო, მოაკედევინა ქართლის მეფე სეიმორ II და მისი სამეფო შემოიერთა. გაძლიერდა თუ არა თეიმურაზ, ამოიყარა ჯაერი ძეველი მტრებისა, მიუსია შეერთებული ჯარი ქართლს-კახეთისა ლეკეთს, ადერბეიჯანს, ბარდას, ყარაბალს, შამშადილს, ხაზახს და მუსრი გავლო.

ასე იმეფა მორჭმით თეიმურაზ მეფებ ხუთს წელიწადს და ამ დროს არც ხინთქრისა ეშინოდა, არც ყაენს ერიდებოდა და რუსთ ხელმწიფე არც-კი მოჰკონებია. მაგრამ მოიცალა მისთვისაც შაჲსეფიმ და მოუღო ბოლო მის ძლიერებას. ყაენმა უბოძა ქართლი ხოსრო-მირზას, ქართლის მეფის დაუთ-ხანის შეიღს, რომელიც სპარსეთში გაიზარდა და დაბერდა, და გამოგზავნა დიდის ლაშქრით სამეფოს დასაპყრობლად. ხოსრო-მირზამ განდევნა თეიმურაზ მეფე, დაიჭირა ქართლი და გამეფდა როსტომ მეფის სახელით; კახეთში-კი დაჯდა გამგედ სპარსელი სალიმ-ხანი.

თეიმურაზ მეფე იმერეთს გაიქცა და სამი წელიწადი ებრძოდა როსტომ მეფესა და სელიმ-ხანს, სანამ კახეთს დაიბრუნებდა და მრავალის ძლიერითა და მორჩილებით ყაენის გულს მოიგებდა.

ამ გაჭირვებაში-ლა მოაგონდა კახთ-ბატონს რუსთ ხელმწიფე და აახლა თავისი ელჩი ნიკიფორე მიტროპოლიტი. ეს ნიკიფორე, — ამბობენ ტამით ბერძენი, — მეფის ნამსახურევი და ნაერთგულევი, დიდიხანია დიპლომატიურ საქმეებს ურიგებდა თეიმურაზს. მრავალჯერ ნამყოფმა ისპანს, სტამბოლს, რომს, მაღრიტს, მოსკოვს, ახლაც 1635 წ. იკისრა რუსთ ხელმწიფის წინაშე დესპანობა.

ძლიეს ერთის წლის შემდეგ მიაწია ნიკიფორე მიტროპოლიტმა მეფეს მიხაილ ფეოდოროვიჩს და მოახსენა კახთ-ბატონის შენა-თვალი. თეიმურაზ მეფე სთხოედა მუარაველობას და მეშვეოლ ჯარსა, რომ დაეპყრო ლეკები და გაექრისტეანებინა, სამაგიეროდ რუსთ ხელმწიფეს აბარებდა სრულიად საქართველოს მისის ეკლესიებითა და წმინდანებით უკუნითი უკუნისამდე.

გაეიდა კიდევ ერთი წელიწადი სანამ რუსთ ხელმწიფე გადასწყვეტდა სამაგიერო დესპანის გაგზავნას. დესპანად დაინიშნა კნიაზ ფეოდორ ფეოდოროვიჩი ვოლკონსკი, რომელსაც გააყოლეს ერთი მღივანი, ერთი მთარგმნელი, ორი თარჯიმანი, ორი მწერალი და ორი ბაზიერი ქორ-შავარდნებითა. დესპანობაში წილი ჰქონდა სამღელელოებასაც: ოსებ არქიმანდრიტს, ორს მღედელს და ერთს ღიაკ-

განს, რომელთაც მიჰქონდათ ორას ორმოც-და-ათი ხატი. ამას გარდა დესპანებს ახლდა რამდენიმე მხატვარი ოქრო-ვერცხლითა, ფერადებითა და სხვა სამხატვრო მასალით საქართველოს ეკლესიებში ხატების გასაწორებლად, და ერთიც შეუშე სალმანდითა, *) რკინითა და სხვა მასალით ეკლესის სარკმელების შესაკეთებლად.

დესპანებს ჩაბარეს რუსთ ხელმწიფის წერილი კახთ-ბატონისა. თევის მისართმევი. წიგნში ეწერა: ვისმინეთ აჯა და მოხსენება შენიო. გიშყალობებთ ჩვენს მფარველობას და შენს სამეფოს დაუიცავთო. ჩვენი წარმოგზაუნილი დესპანები კნიაზ ფერდორ ვოლკონსკი და დიაკ (მდიგანი) არტემი ხეატოვი მოგახსენებენ რა პირობით მოგერიცება ჩვენი წყალობაო. ამავე დესპანებისათვის დაგვივალებია დაათვალიერონ შენი სამეფო. ეკლესიებსა და წმინდათა ნაწილებს-კი ჩვენი წარმოგზაუნილი სამღვდელოება დაათვალიერებს და მოგვახსენებსო.

ამ სამღვდელოებას რუსთ პატრიარქმა იუსებმაც გამოატანა თევი. მურაზ მეფისათვის წერილი. პატრიარქი აგულებდა მეფეს დაცვა ბერძენთა სჯული ყოველითა სიწროეებითა და რუსთ ხელმწიფისათვის ერთგულობა შეუცვლელად.

დესპანებს დასტურლამაც (ინსტრუქცია) მისცეს. კნ. ვოლკონსკის უნდა შეევონებინა კახთ-ბატონისათვის, რომ რუსთ ხელმწიფებების მოსაგერებლად შემწეობას აღმოუჩენს, თუ მეფემ შევთიცა მორჩილება და დაუმტკიცა ერთგულობა.

ასეთი იყო მოსკოვის დიპლომატია. რუსთ ხელმწიფის დაპირებულ მფარველობისათვის კახთ ბატონს წინადევ ყმობასა და ერთგულობას აფიცებდნენ. ჯერ ერთი მეობარიც არ გამოეგზავნათ მეფის საშეელად და საქართველოს მუშტრის თვალით-კი შინჯაედნენ. რამდენიმე ხატისა და შუშის სამაგიეროდ ხალხს ეკლესიებს უჩხრეცდნენ და მისის სჯულის გასწორებას ლამობდნენ.

*) გამჭვირვალე ქვა.

IV

რუსის დეპარტამენტის თავის ამაღლით და თემურაზ მეფის ელჩი ნიკიფორე მიტროპოლიტი წამოეიდნენ მოსკოვით ასტრახანს თიბათვის 9-ს 1637 წ.; მერე ასტრახანიდან გაემართნენ ზღვით 1 ღვიძლის-თევს და იმავე თვის 11-ს ჩაეიდნენ თერლაში. რადგანაც ზამთარი შოახლოებული იყო და დათოვლილს კავკასიონის მთებს ვერ გადალახავდნენ, დეპარტამენტი ზამთარი თერლაში გაატარეს.

თერლადან დეპარტანები მხოლოდ 4 მაისს 1638 წ. წამოეიდნენ საქართველოსაკენ და ძლიერ მარიამილისთვის დამდევს შემოვიდნენ თერგის ხეობაში, სადაც დახვდა სალთხუცესი რეგაზ-ბეი ჩოლაყა-შვალი, ქართველის ჯარით, თემურაზ მეფის გამოგზავილი მისაგვებებლად და გამოსაცილებლად. რეგაზ-ბეიმ დეპარტანებს ბედნიერი მგზავრობა მიულოცა და მეფის შენათვალი მოახსენა: რაც აქამდის მგზავრობაში გაჭირება გამოიარეთ, ისე მიიჩნიეთ ვითომც ქრისტეს გულასათვის გამოგველოთო.

ასეთის ვაი ვაკლახით მგზავრობდნენ იმ დროს.

ორი დღის სიარულის შემდეგ მგზავრებმა მიაწიეს თემურაზ მეფის ბანაკს. კახთ-ბატონს ახლდა 600 მეომარი, ქვეითი და ცხენოსანი, თეალადნი ვაჟკაცნი, შეიიარალებულნი შეიილდისარითა, შუბით, თოთით და ხმლითა.

აქამდის რუსის დეპარტანები საქართველოში არაგვის ხეობით შემოდიოდნენ ხოლმე; ახლა-კი რადგან არაგვის ერისთავი ზაალ კახთ-ბატონს ემტერებოდა, მის საერისთაოში რომ დეპარტანები არ გაეტარებინათ, ფშავ-ხევსურეთზედ წამოიყვანა. დეპარტანებს წინ რეგაზ-ბეი მიუძლოდა, თითონ მეფე-კი თავის ჯარით უკან მოსდევდა, რომ მტერი მოულოდნელად არ დასცემოდა. ასე იარეს დიდის სიტრანილითა და გაჭირებით პანკისამდე, სადაც სცხოვრებდნენ უბრალო ქოხებში კახეთის დედოფალი ხორეშან და დავით ბატონიშვილი. ამ მივარდნილ სოფელს შემოხიზულიყო დროებით მეფის სახლობა, რადგან



აქაურობა სპარსელების აოხრებას გადარჩენოდა და სარჩა აღერთად
იშოვებოდა.

დეპარტმენტის მეფის სადგომის ქვეით, ალაზნის პირს, დაბინავეს, ცოტა ხანს შეასევენეს და ენკენისთვის დამდეგს გაიტუმოს ალავერ- დის მონასტერზე, სადაც უნდა გადაეხადათ დარბაზზება დიდებით და გამოჩენებით.

ରୂପମେନିଥେ ଡଲିସ ଶ୍ଵେତ୍ରୟ ହିମାଙ୍ଗଳା ଅଲ୍ଲାଙ୍ଗରଦ୍ଵୀ ଟେମିଲୁରାକ୍ ମେଜ୍ଜେ,
ଦ୍ୱାରାଇ ବାତରନ୍ତିରିଶ୍ଵେତ୍ରୟରେତା ଲା ଅମାଲିତ. ଖୁଲ୍ବିଲେ ଡେସପାନ୍ଧେବି, ଖରମେଲନ୍ତିର
ମନନ୍ତାସତ୍ରରିଲେ କ୍ଷେତ୍ରିତ, ଅଲ୍ଲାକ୍ଷଣିଲେ ତିରିଲେ, ଲାଏବିନାଗ୍ରେବିନାତ, ମିଠିଶ୍ଵେତ୍ରୟିଲେ ସାଦାର୍ହ-
ବାକ୍ଷନ୍ଦ ନିକ୍ଷିପ୍ତକ୍ଷେତ୍ରେ ମିତ୍ରରାତରିଲେଗମା, ର୍ଯ୍ୟାକ୍-ଦ୍ୱେଇମ ହିମଲୋକ୍ୟାଶ୍ଵେତ୍ରୟମା ଲା
ମିଲିମା ଶ୍ଵେତ୍ରୟମା ନରଦାର ମନୁଷ୍ୟରାଗମା. ମେରାହେ ଡଲେସ ଗାମନ୍ଦେମାରନ୍ତରେ କ୍ରେ-
ନ୍ଦେବିତ ଡେସପାନ୍ଧିର ମନନ୍ତାସତ୍ରରିଲେବ୍ରୁକ୍. ଫିର ମିଉଦ୍ରାଲନ୍ଦରେ ବାନିଶ୍ଵରିବି. ମା-
ନ୍ତାସତ୍ରରିଲେ କ୍ଷିତି-କାହିତାନ ଖରମ ମିହିଲନ୍ଦରେ, କ୍ରେନିଲାନ ହିମକ୍ଷରନ୍ଦରେ.

მონასტერს გალავანი ჰქონდა შემორტყმული ოთხის კოშკით
და ჭიშ-კარით. ჭიშ-კარზედ იღვა სამრეკველო, ორის პატარა ზარით.
გალავანი და კოშკები დანგრეული იყო.

ჭიშ-კარის წინ დესპანებს ორი აზნაური დაუხვდა, კარებ-
ში — რევაზ-ბეგი ხუთის მხლებელით და წაუძღვა მეფის დარბაზისკენ,
მარცხნივ. რუსის სამლელოება-კი მოშორდა დესპანებს და შეე-
და ტაძარში. კიბეზედ დესპანებს მკლავი დაუჭირეს და ისე აიყვანეს.
დარბაზის კარში კიდევ ორი აზნაური დაუკვდა და დარბაზის შუ-
გულობას მიეკებნენ ზუბდედ ალავერდელი მთავარ-ეპისკოპოსი და
ოთხი ეპისკოპოსი, რომელთაც წარადგინეს დესპანები მეფის წინაშე.

სეფე-დარბაზი ვეება ოთახი იყო, სიგრძით ოცის სავენისა და სიგანით ხუთისა, ხალებით დაფენილი. მეფის დასაჯდომს აღვილას ჭრელი ნარჩა გაეშალათ; ზედ ეგო თეთრი ქეჩა, რომელზედაც ფე-რადებით სხვა-და-სხვა პირუტყვი და მცენარეები იყო ნაკერი. ქეჩა-ზედ ფარჩის მუთაქა ითო და მუთაქაზედ კახ-ბატონი ბძანდოდა.

თეიმურაზ მეფე შეუა ტანის კაცი იყო, ორმოც-და-ათის წლისა; მხარ-ბეჭედ განიერი და ოდნავ მოხრილი, პირ-თეთრი და დაქენწილი,

თვალ-ჭრელი და აჭარხლებული, წვერ-შეკრეჭილი და შეღებილი; ტანთ სპარსულად ეცვა სუფთად და ფრჩხილები ინით ჰქონდა შეღებილი.

მეფეს მარჯვნივ უჯდა დავით ბატონიშვილი, ოცის წლის ჭაბუკი, მამაზედ უფრო ტანიანი; მამასავით პირ-თეთრი და თვალ-ჭრელი. თავ-წვერ მოპარსულს, თხემზედ ერთი ბლუჯი თმა დაეტოვებინა და მგლოვიარობის ნიშნად ერთი ულვაში გაეპარსა; ეს ქოჩირი და ცალი ულვაში ინით შეეღება. ბატონიშვილსაც ტანთ სპარსულად ეცვა.

ბატონიშვილის ქვეით იდგნენ ნიკიფორე მიტროპოლიტი, რევაზ-ბერ სალოთხუცესი და ათი სხვა დიდებული, მეფის მრჩეველნი. ამათ ქართულად ეცვათ და კალმუხის ქუდი ეხურათ; თავ-მოპარსულებს ზოგს ქოჩირი ჰქონდა, ზოგს არა. მეფის მარცხნივ მღვდელ მთავარნი ისხდნენ. * ზებედე ალავერდელს შავი მანტია ემოსა მდინარებით; ზოგი ეპისკოპოსი-კი მაუდის ჩოხით იყო და ბერძნულის მიტრით.

დარბაზობაში დიდხანს არ გასტანა.

კნიაზ ეოლეკონსკიმ თემიურაზ მეფეს რუსთ ხელმწიფის სალამი მოახსენა. კახთ-ბატონმაც მოიკითხა მეფე მიხაილ ფეოდოროვიჩი და მისი სახლობა და დასძინა: „არა მხოლოდ ჩემი თავი,—ჩემი თანა მეცხელე, ჩემი შეილი დი სრულიად საქართველოც ჩამიბარებია დიდ ხელმწიფისათვისაო“. მერე უბობა დესპანებს ხელი საკოცნელად, თითონ-კი შუბლში ჰქოცნილა.

და ამით დასრულდა პირევლი დარბაზობა. დესპანობის საგანზედ ლაპარაკს არ ეშურებოდნენ.

სდ. სამაჯიშვილი.

(შედეგი იქნება)

ფიზიკური გეოგრაფია. *)



(პროფესორი გეიგისა)

IV. დედამიწის ზედაპირის დანგრევა, დაშლა.

ამოდენიმე ასის წლის წინეთ აგებულს
ძეველს ქვის შენობას ყველა პირველის
შეხედვით ცნობილობს. ამისთანა შენო-

ბის კედლები ძალზე დაძველებულია, დრო-ეამისაგან დაფუტურიოებული, დაშლილი. თუ რამ მხატვრობა ან წარწერა იყო ამ შენობაზე ისე გაცვეთილა, წაშლილა, რომ მათი გარჩევა შეუძლებელილა. სასაფლაოზედაც ამასეე ვამჩნევთ. რაც უფრო დიდიხნისაა საფლაეს ქვა მით უფრო დაზიანებული, დაშლილი, გაჭმულ-გამოჭმულია. რაღა თქმა უნდა ამისთანა ქვაზე წარწერის გარჩევა ტყუილი ცდა იქნებოდა.

დრო-ეამისაგან მაგარი ქვების ამგვარი დანგრევა, დაშლა ყველასათვის ცნობილი მოელენაა. ხოლო თქენ, პატარა მკითხველებო, გიფიქრიათ რა არის ამ ნგრევის მიზეზი, ან კიდევ ამ ნგრევას რა მიზანი აქვს? ადამიანის ხელით გაკეთებული შენობა რომ ინგრევა, იშლება ეს კიდევ ადეილა შესამჩნევია, წარმოსალენი, რაღან შენობა კაცის ხელმა, კალატოზმა ააგო, ყოველი ქვა კალატოზისაგან არის გამოკაპიტებული და გალამაზებული... მაგრამ ამის-

*) ისილე „ჯეჯილი“ № III.

თანა ნგრევა, დაშლა მარტო ადამიანის ნამოქმედარზე-კი არ ხდება, არამედ მთელ დედამიწის ზურგზედაც. დიახ, მიწის ზედაპირი ინგრევა და იშლება. ამას რომ ვაშბობთ თქვენ ცოტა არ იყოს გეუცხოვბათ, მაგრამ დაკვირდით ახლო-მახლო ძევლს შენობებს, დაათვალიერეთ კლდეები, მდინარის ნაპირები და დარწმუნდებით ჩეენს სიმართლეში.

ყოველს კლდის ძირში ნახავთ ცოტა თუ ბევრს ქვების გროვას; ეს ქვები კლდის მწევრეალოდან გადმოცეინულან. ღიღი ზამთრის შემდეგ ქვათა გროვა კიდევაც იმატებს. საზოგადოთ ცნობილია, რომ სადაც ღიღი ზამთარი იცის იქ ქვათა შრეები ყინვისაგან უფრო ზიანდება და ინგრევა. ამ მოელენას, ნგრევას ვერაკითარი ქვის შრე, თუნდ ძალზე მაგრათ შეზავებული ვერ ასცდება. ღიას დედამიწაზე ყოველისფერი ინგრევა და იშლება. მერე ეს რანაირათ ხდება? სანამ ამას გაუიგებდეთ გაეიხსენოთ ზემო ნათქვამი ნახშ: რ-ბადის სიმძავის მოქმედების შესახებ (იხ. „ჯეჯილი“ მარტისა). ჩეენ მაშინ მოგახსენეთ რომ წვიმის წყალი ჰაერიდან ნახშირბადის სიმძავეს იკრეფს და მიწაში გაფენის დროს ქვათა შრეებს ხსნის, გასჭამს-თქო. სწორეთ ამნაირივე თვისისებისაა დედამიწაზე დაგუბებული თუ მიმომდინარე წვიმის წყალიც. წყალი სიმძავის საშუალებით ხსნის და თან იტაცებს ქვათა შრეების იმდენ ნაწილს, რამდენიც გახსნა და წალება შეუძლია; თვით იმისთვის მაგარი შრე, როგორიც კირ ნარევი შრეა შეიძლება წვიმის წყალმა მთლათ გახსნას და თან წარიტაცოს. ზოგჯერ წვიმის წყალი შრეების შემაზაებელ ნიეთიერებათ გასჭამს და ხსნის და შრეებიც ამის შემდეგ, რასაკირველია, სულ დაინგრევა დაიშლება და ქვიშათ იქცევა. მაშასადამე ერთი იმ მიზეზთაგანი, რომელიც ანგრევს და შლის ქვათა შრეებს არის ნახშირსადის სიმძავე, რომელსაც ჰაერიდან წვიმა იკრეფს.

ქვათა შრეების ნგრევას, დაშლას მეორეს შხრით ღიღად ხელს უწყობს, მყავბადი, წყლის შემაღევნელი ნიეთიერება. რკინის ნაკერი რო ღიღანს ჰაერზე დარჩეს ფანვს მოიკიდებს. იცით ალბათ ისიც, რომ რკინის მავთულები ცვდება, ფანგდება. ეს ფანგი რომ კი-

დევაც ათხიკოთ მავთულებს დანის პირით, მაინც მაღლე ახალი ქანგი გაუჩნდებათ. ქანგი რთული ნიეთიერებაა მექანიზმისაგან და რკინისაგან შეზაებული. და ეს ქანგი ქვის შრეებზედაც სწორეთ ისე მოქმედობს როგორც მავთულებზე. მექანიზმი ზედ მოქმედებით შრეს ქანგი უჩნდება, ხოლო როცა წყიმა ამ ქანგს წარეცხავს მექანიზმი ახალს პირზედ კელავ ფანგს გააჩინს, ამასაც შემდეგ წყიმა წარეცხავს, ჩნდება კიდევ ახალი ქანგი და ასე თან-და-თან ცვლება ქვათა შრე.

დედამიწის ზოგიერთ ნაწილებს ყინვაც ანგრევს. ყინვის მოქმედება თქვენ შეიძლება კიდევაც იცოდეთ. ზამთარში, მაგალითათ, ხშირათ წყლის სადენი მიღები, საზოგადოთ წყლის ჭურჭელი, სკდება. მერე რა არის ამის მიზეზი? ისა რომ წყალი როცა ყინვათ გადადის ფართოვდება, ყინვა უფრო მეტს ალაგს იჭერს ვიღრე წყალს ეჭირა.

ჭურჭელში გაფართოვებული ყინვა მის კედლებზე მძლავრათ აწვება. კარგი თუ კედლები მაგარია და ყინვის მოქმედებას გაუძლო, თუ არა და კედლები დასკდება, დაიშლება. თუ არ გჯერათ სცადეთ და ყინვიან ღამეში წყლით სავსე თიხის ღოქი გარეთ გადგით, მეორე ღლეს ღოქის მაგივრათ მარტო ნამტვრევები-ღა დაგხელებათ.

ზემოთ (იხილე „ჯეჯილი“ მარტის) ვამბობდით, წყალი მიწაში ადვილათ პოულობს გზასა-თქო; წყალი თეით მაგარი შრეების სერეტილებში, ხერელებშიაც ადვილათ გადი-გამოდის, ხოლო ეს წყალი იქ ზამთრობით იყინება; ყინვა-კი სერეტილებს და ხერელებს აწება, აფართოებს, ანგრევს. შესანიშნავია ამ შემთხვევაში ყინვის მიწაზე მოქმედება. გაყინულს გზას რომ დააკეირდეთ, მაგალითათ, შეამჩნევთ, რომ სხვილი კენჭები ამ გზაზე თავის ალაგიდან დაძრულან და სხვაგან გადასულან; გზის ზედაპირიც თხელი ტალახით წაბუძგულა, ამასთანავე ყინვას თიხა ქვიშისაგან დაუშორებია, თითქოს საცერეში გაუტარებია. ღიღი ყინვა მიწის პირს ხეთქავს და ჩნდება ნაპრალები; ეს გარემოება-კი მიწის მუშას დიდს სამსახურს უწევს, რაღაც ყინვა ამ შემთხვევაში მიწას შლის და აფხვიერებს. ყინვის ამნაირი

მოქმედებით მცენარეულობაც სარგებლობს, - აშლილ, ფხვიერ მიწაში მცენარე ფესვებს უფრო ღრმათ და მაგრა იდგაეს. ყინვა რასაკირელია, ფხვიერ მიწაში, მაგალითათ ქვიშა მიწაში, უფრო მძლავრათ მოქმედობს; ამნაირ მიწას ყინვა მთლათ ანადგურებს; ქვას-ქვაზე ალარ ტოვებს.

ხოლო წყალი სერეტილებს გარდა შრეების აუარებელ ხერელებშიაც იყინება. კლდეებზე ალბათ თქვენ ბევრს ნაპრალს შეამჩნევდით. კლდეს ნაპრალები ზეიდან ქვეით დაუდის. აი ამ ნაპრალებში ჩადგება ხოლმე წყალი; წყალიც ნაპრალს აფართოებს, ხოლო როცა გაიყინება კიდევ მეტს მოქმედებას იჩენს და ნაპრალს უფრო აგანიერებს.

რამოდენიმე ზამთრის შემდეგ ნაპრალი ფართოვდება; წყალიც იქ, რასაკირველია, უფრო მეტი შედის; გაყინვის შემდეგ ეს წყალი უფრო მეტს ძალას იჩენს, ასე რომ ბოლოს და ბოლოს კლდის კედლები წყლის ამნაირს ძალას ვეღარ უძლებს და ამიტომ კიდევაც სკდება, იმტერევა. აი ეს არის მიზეზი კლდეს რომ დიდი ლოდები მოსკდება ხოლმე და ძირს ვარდება.

ნახშირბადის სიმჭავის, მჟავბადის და ყინვის გარდა დედამიწის ზე-ლა პირზე კიდევ ბევრი სხვა მოვლენაც მოქმედობს: მაგალითათ, ტემ-პერატურის ცვალებადობა, როცა კლდე ძალზე გახურდება დღე და შემდეგ ღამით უცბათ გაცევდება; აი ეს მოვლენა ერთის მხრივ სიც-ხის გამო გაფართოება, ხოლო მეორის მხრივ ისევ შეკუმშვა სიცი-ვის გამო შლის, აფხვიერებს ქვების ნაწილებს და ესენიც მაღლი-დან ძირს ვარდებიან. ქარს-კი ამნაირად დაშლილი მიწა სხვაგან გა-დააქვს და ამით აჩენს ახალ ფენას, რომელსაც იგივე ემართება, რაც უწინდელს ე. ი. იგიც ინგრევა, იშლება და შემდეგ ქარისაგან იფან-ტება. უდაბნოში ქვიშის დიდძალი გროვა სწორეთ ამ მოვლენით აიხსნება.

მაშასადამე თქვენ ახლა იცით რომ მაგარი ქვათა შრეები სხვა-და-სხვა მიზეზების გამო ინგრევა, იშლება და ქარისაგან იქით-აქეთ

იფარტება. ამნაირ მოქმედებათ ვერც მაგარი და ეერც ჩბილი შრე მიწისა ვერ ასცდება. ყოველნაირი შრე ინგრევა და იშლება.

ძეელს შენობას თუ დაკეირდებით ამ დანგრევის და დაშლის
მიზეზებს ადეილათ გაითვალისწინებთ, ხოლო იქ იმასაც შეაჩინეთ,
რომ ამ შენობის ერთი კედელი უფრო დაზიანებულა ვიღრე მეორე,
მესამე კიდევ მეტათ ვიღრე მეოთხე, ერთის სიტყვით ზემოთ დასა-
ხელებულს მიზეზებს შენობაზე ერთნაირათ არ უმოქმედია; ერთი
კედლის ქვები რომ ოდნავ გაჭმულან, მეორესი მთლად დაშლილა,
დაუკრფლილა. ბუნებაშიაც სწორეთ ასევე ხდება. ეს მიზეზები ყო-
ველგან ერთნაირათ არ მოქმედობენ; ერთს შრეზე რომ მალე იმოქ-
მედებენ მეორეზე უფრო გვიან; ერთს შრეში ეს მოქმედება სხვანაი-
რათ გამოიხატება, მეორეში კიდევ სხვანაირათ. მერე რატომ ხდება
ასეთი ნგრევა დედამიწის ზურგზეო? იყითხავთ თქვენ. მართლაც, ქვეუ-
ნიერება თქვენ ისე ლამაზათ, მოკაზმულათ გეჩვენებათ, რომ ვერ
წარმოგიღენიათ ამისთანა ნგრევა გამანადგურებელი რამ ხდებო-
დეს მიწის ზედაპირზე. შეიძლება თქვენ კიდევაც იფიქროთ, რომ
ეს მოვლენა დიდი უბედურება იყოს ქვეუნიერებისათვის. მაგრამ არა,
თქვენ ცდებით, ეს უბედურება-კი არა პირ-იქით დიდი ბედნიერებაა.
ეს მოვლენა დიდათ საჭიროა რომ მიწა გამოსადევი იყოს მცენარეე-
ბისა და ცხოველების სამკვიდრებლათ. ბუნების სხვა-და-სხვაობა, ათას-
ფეროვნება ამ ნგრევით აიხსნება: თვალ-გადუწვდენელი მინდორი,
ღრმა უფსკრული, ამაყათ ამართული მთები, მშევრიერი მთა-გორა-
კები და სხვ. ნიადაგი, სახნავი მიწა ქვათა შრეების დანგრევის შედე-
გია, ხოლო წევნი ყოველ დღიური ცხოვრება ამ ნიადაგზეა დამოკი-
დებული. მაგრამ ამაზედ შემდეგ.


სან—ინი.

ბატონი რედაქტორი!

ქმასთანავე გაალებთ ჩვენ პატარა ამხანაგებში შეკრებილ ხუთ
მანეთს და გთხოვთ, უმორჩილესათ, გადასცეთ ჩვენი ძეირფასი მგოს-
ნის აკაკის ფონდის სასარგებლოთ. *)
დაეშოებით თქვენი პატივისმცემელნი და აკაკის მოტრუიალე
ბავშები:

შალვა, ვარლამი, არჩილი, ქეთევანი, ნინო და თამარა ხარა-
ძეები, და პეტრე კალონცევი.

სადგური მოლითი. 1905 წ. 8-ა მაისი.



ა ნ დ ა ზ ა.

(წარმოდგენილი მოწაფე გრ. წევაძისაგან).

ცეცხლო, ნუ ხუმრობ,
წყალს ნუ ერწმუნები.

ა კ რ ი ს ტ ი ხ ი.

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან).

თუ კაცი გვარით ამაყობს, ეგ ვერაფერი წესია;
არ ჰქონდეს მოქალაქობა გაჩუმდეს უკეთესია,

*) ფული გადავაცით „წერა-კითხვის“ ჭანცელიაში.

ვაქებ, რომელსაც ხალხს შორის სიკეთე დაუთესია,
აღონებს მისი ნაღველი, მის კუნძული დაუკვნესია;
დაჩაგრულების შეელაზე ელვაზედ უმალესია,
იგია კაცი მაღალი, იმას ვაქებდეთ წესია.

ჭ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი აღ. შიუკაშვილისაგან)

სიტყვის თაერ ყვავილია,
სურნელებით დგას თავშია,
ბოლო მეოთხე ასოა
ჩევნის ენის ანბანშია.
მრთელი—ჰატარა ჩიტია
განთქმული სიმღერაშია,
წყალს და ხეებს ეხიზნება
დარში გინა ავდარშია.

კ უ ნ ი ნ ი

№ IV უფრნალ „ჯეჯილის“ გამოცანებისა.

გამოცანები: 1) ფეხები, 2) თაგვი, 3) ხე, 4) ყურძენი—ლვინო.

შარადა: სა—სალა, ლამი—სალამი.

რებუსი: იცელქეთ, იმხარულეთ, ალდგომა გაითენეთო, კურ-
ცხების მერე ერთმანერთს „ჯეჯილიც“ უთავაზეთო.

გასართობის ახსნა: შეილია ქალისა.

უჯრების ამოცანა: ქრისტე აღსდგა.

რედაქტორ-გამომცემელი ა. თემახიშვილი წერეთლისა.